

როგორ გავაუმჯობესოთ სწავლისთვის საჭირო უნარები (study skill)

მირიან ყენია¹, დარეჯან დალბაშვილი², რუსუდან ხომარაული³

¹ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

^{2,3} ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში

აღნიშნული კვლევის მიზანია, მოსწავლეთა მზაობის გაზრდა უნივერსიტეტში სწავლისათვის. კვლევის ამოცანებია :

- ✓ სკოლასა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირის გაძლიერება, პრობლემის იდენტიფიცირება ცვლილებების შედეგების შეფასებით.
- ✓ ამ უკუკავშირზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება,
- ✓ ინტერვენციების პირველადი შედეგების შეფასება

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, სასწავლო უნარები, Bridge პროგრამა

კვლევის მიზანი და ამოცანები

აღნიშნული კვლევის მიზანია, აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის მაგალითზე, მოსწავლეთა მზაობის გაზრდა უნივერსიტეტში სწავლისათვის.

კვლევის ამოცანებია :

- ✓ სკოლასა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირის გაძლიერება, პრობლემის იდენტიფიცირება ცვლილებების შედეგების შეფასებით.
- ✓ ამ უკუკავშირზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება,
- ✓ ინტერვენციების პირველადი შედეგების შეფასება.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლა მდებარეობს კრწანისის რაიონში. სკოლაში სწავლობს 811 მოსწავლე და ასწავლის 53 მასწავლებელი. სკოლის დირექტორი არის ნუგზარ კედელაშვილი. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, აქვს წრეობრივი მუშაობა. ასევე ჰყავს 3 სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომლებმაც ჩააბარეს კომპიუტერით სარგებლობის უნარები და ინგლისური ენის გამოცდა. აქ ხორციელდება სტანდარტს ზევით სწავლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც, ადმინისტრაციის მოსაზრებით, საშუალებას იძლევა ხარისხიანად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

გაცნობითი შეხვედრა სამიზნე სკოლასთან

პრაქტიკული კვლევის ზოგადი სპეციფიკისაგან განსხვავებით, ჩვენს შემთხვევაში სამიზნე სკოლის შერჩევა მოხდა საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სკოლის დონეზე გარკვეული ექსპერიმენტების განხორციელება კურსდამთავრებულთა უმაღლესში სწავლებისათვის მზაობის გასაზრდელად, თავიდანვე ვეძებდით ისეთ სკოლას, რომელსაც (ა)ექნებოდა ამგვარ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობები; და (ბ)დაინტერესდებოდა და მზაობას გამოთქვამდა პროექტში მონაწილეობისათვის.

სამიზნე სკოლის ძიებისას შევჩერდით აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაზე. ჩვენი არჩევანის შეჩერების მიზეზად გვინდა დავასახელოთ ის ფაქტი, რომ თბილისის საჯარო სკოლებიდან ეს სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გამლიერებული სწავლებით. ამ სკოლის მოსწავლეებს, ჩვეულებრივ, ძალიან კარგი შედეგები აქვთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა დაშვება, რომ ამ სკოლის საზოგადოება, დიდი ალბათობით, მზაობას გამოთქვამდა ამგვარ კვლევაში მონაწილეობისათვის და დაინტერესებული იქნებოდა კვლევის შედეგებით.

42-ე სკოლის დირექციამ პირველივე შეხვედრისას დიდი დაინტერესება გამოთქვა თემატიკით და ყოველგვარი ხელშეწყობა აღგვითქვა. შემდგომში სკოლის ხემძღვანელობა ხშირად ინტერესდებოდა საკვლევი პროცესით და გულახდილად ელოდებოდა კვლევის შედეგებს.

სამიზნე ჯგუფებად ავირჩიეთ:

42-ე სკოლის 12-ე კლასის მოსწავლეები;

42 -ე სკოლადამთავრებულები, უმაღლესი სასწავლებლების პირველკურსელები;

42-ე სკოლის მასწავლებლები;

42-ე სკოლადამთავრებული პირველკურსელების ლექტორები.

ინტერვიუ მასწავლებლებთან

სკოლაში მეორედ სტუმრობისას, შევხვდით კვლევაში ჩართვის მსურველ პედაგოგებს. შეხვედრის მიზანი იყო, გაგვეცნო მათთვის ჩვენი მიზნები/ამოცანები და ამავედროულად შეგვეფასებინა პროცესებში მათი მონაწილეობის მზაობის სურვილი.

მასწავლებლების უმრავლესობა კარგად იცნობდა ერთიან ეროვნულ გეგმას.

ჩვენ მათ გავაცანით კვლევის გეგმა და კონკრეტულად მათი როლი მიმდინარე კვლევის პერიოდში.

პრაქტიკული კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, მასწავლებლის როლი კვლევაში გადაწყვეტია და სწორედ მათზეა დამოკიდებული ჩვენი, როგორც ერთიანი კვლევითი ჯგუფის, საბოლოო წარმატება. ჩვენ გვაინტერესებდა მათი აზრი ჩვენს მიერ განხილული უნარების სწავლის პროცესში ინტეგრაციასთან და ამ უნარების ჩამოყალიბების/ხელშეწყობის მარტივი გზების ძიებასთან დაკავშირებით.

მასწავლებლებმა აღგვიღწერეს ის ხერხები, რომლებსაც სასწავლო პროცესში ისინი იმ მომენტისათვის იყენებდნენ გარკვეული უნარების ჩამოყალიბება/განვითარებისთვის.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთი მასწავლებლის ნააზრევს ჩვენთან საუბრისას:

„იმისათვის, რომ მოსწავლეებს წაკითხული მასალა კარგად დაამახსოვრდეთ, სურვილის შემთხვევაში იოლად გაიმეორონ, ვაჩვენებ მოინიშნონ წიგნში მნიშვნელოვანი ადგილები. ჩაიწერონ თეზისების სახით, შეადგინონ რეზიუმე, რომელთა გადაკითხვასა და სასწავლო მასალის გახსენებას შემდგომში იოლად შეძლებენ. შევთავაზებ, დაენიშნათ დრო და ნებისმიერ საგანში ესწავლათ გაკვეთილი. მეორე დღეს კი ჩანაწერების გამოყენების მეთოდით შეესწავლათ მასალა, შეედარებინათ დახარჯული დრო. ბავშვები თვითონვე დარწმუნდნენ, რომ ჩანაწერების გამოყენებით მასალას უფრო სწრაფად სწავლობენ და უფრო კარგადაც ამახსოვრდებათ (ანა სალაყაი - ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგი)“.

მეორე შეხვედრა მასწავლებლებთან

პირველი შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ ჩვენ კვლავ შეხვდით პედაგოგებს. ამ შეხვედრაზე განვიხილეთ მომავალი ფოკუს ჯგუფის კითხვები. კითხვები მეშვეობით დადგენილი პრობლემიდან გამომდინარეობდა.

პირველადი ფოკუს ჯგუფი დაიგეგმა 42-ე სკოლადამთავრებულ პირველკურსელებთან, რომელთათვის ამ ეტაპზე პირველი სემესტრის მიწურული იყო.

ფოკუს ჯგუფი 42-ე სკოლადამთავრებულ პირველკურსელებთან

ფოკუს ჯგუფი დაიგეგმა და განხორციელდა 42-ე სკოლის ტერიტორიაზე. მონაწილეთა მოწვევისათვის გამოყენებული იყო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სიები. სტუდენტთა საერთო რაოდენობა 93-ს შეადგენდა, თუმცა მოსვლაზე მხოლოდ 20 ადამიანი დაგვთანხმდა, აქედან 9 გოგო და 11 ბიჭი. სტუდენტებთან შეხვედრა და საუბარი მოხდა ორატაკციან ჯგუფში, რაც იძლეოდა საშუალებას, უფრო ეფექტურად მოგვეხდინა თითოეულ მათგანზე ფოკუსირება.

შეხვედრებზე განსაკუთრებულად აშკარად გამოიკვეთა, რომ გასაუბრებაზე მოსული 20 კაციდან სრული უმრავლესობა ძალიან აქტიურ და, ამავედროს, წარმატებულ კონტიგენტს წარმოადგენდა. მათი უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები იყვნენ და აქტიურად მოღვაწეობდნენ კლასგარეშე საქმიანობაში.

ცხადია, ფოკუს ჯგუფის შედეგების ინტერპრეტაციისას ყურადღება უნდა მიგვექცია ამ გარემოებისათვის და გაგვემიჯნა ერთმანეთისაგან ე.წ. „წარჩინებული და აქტიური“ სტუდენტების აზრი სხვა რესპონდენტთა აზრისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოკუს ჯგუფის საშუალებით გვინდოდა დაგვედგინა, რა კავშირს ხედავდნენ კურსდამთავრებულები სკოლის ძალისხმევას, სასწავლო უნარების განვითარებასა და უნივერსიტეტში სწავლისათვის მზაობას შორის.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ სკოლა ხშირად აძლევდა მათ ჯგუფურად გადასაწყვეტ ამოცანებს და ისეთ სასწავლო უნარებში, როგორცაა მაგალითად პრეზენტაციის უნარი, გუნდში მუშაობის უნარი, ისინი არავითარ დაბრკოლებებს არ აწყდებოდნენ უნივერსიტეტში სწავლის პროცესში. თუმცა,

სტუდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სკოლაში არავინ უყვებოდა მათ ამ უნარების მნიშვნელოვნების შესახებ.

„მე მირჩევნია მართო ვიმუშავო, უბრალოდ ეგეთი ადამიანი ვარ“, - ეს სიტყვები ბევრისთვის საკმარისი გამართლება გახლდათ ჯგუფური მუშაობის უპირატესობების იგნორირებისათვის და მათ ალბათ საკმარისად არ უმახვილებდნენ ყურადღებას, იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა შემდგომში ის უნარები, რომლებსაც ჯგუფური მუშაობის პრაქტიკის დროს მიიღებდნენ.

ამ ფოკუს ჯგუფზე მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩნდა დროის მართვისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის უნარები. საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას თითქმის ყველა სტუდენტი პრობლემას აწყდებოდა. არცერთი მათგანი სასწავლო წლის დაწყებისას არ ეცნობოდა საგნის სილაბუსს. უმრავლესობას უჭირდა ლექციებს შორის არსებული „თავისუფალი“ შუალედის წარმატებულად გამოყენება და ამ დროს „დაკარგულს“ ეძახდა. სტუდენტების დიდი ნაწილი ტესტირებისთვის ბოლო წამს ემზადებოდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფში მონაწილე სტუდენტები ზოგადად საშუალოზე მაღალ ნიშნებს იღებდნენ, მეტიც იყვნენ ფრიადოსნებიც.

საბოლოო ჯამში, შევთანხმდით იმაზე, რომ სტუდენტებს ძლიერი საგნობრივი კომპეტენციების ხარჯზე ჰქონდათ მაღალი ნიშნები. რაც შეეხება თავად სწავლის პროცესს, ბევრი მათგანისთვის ის ძალზე დამღლეელი და ნაკლებად საინტერესო პროცესი იყო.

შენიშვნა: გამონაკლისს წარმოადგენდა ერთი სტუდენტი, რომელსაც სრულყოფილად ჰქონდა ჩამოყალიბებული სწავლის სტრატეგიები და დაგეგმვის გზები.

ფოკუს ჯგუფის შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

სტუდენტებმა რომლებმაც დაამთავრეს ი.ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკური 42-ე საჯარო სკოლა, შეიძინეს მაღალი საგნობრივი კომპეტენციები, ხოლო მათი კომპეტენცია სასწავლო სტრატეგიების შემუშავებაში საკმაოდ მწირია. სავარაუდოა, რომ სკოლა პრაქტიკულად არ აძლევს მათ ცოდნას და შესაბამის კომპეტენციებს, რომ ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი დრო და რესურსები.

სტუდენტების და მოსწავლეების გამოკითხვა

გამოკითხვის მიზანი იყო, სტუდენტთა და მოსწავლეთა თვითშეფასებაზე დაყრდნობით გამოგვეტანა ზოგადი დასკვნები სასწავლო უნარების განვითარების დონის შესახებ და გვეჩვენა, არის თუ არა განსხვავებები ამ მხრივ ფორმალური განათლების სხვადასხვა საფეხურზე (სკოლაში და უნივერსიტეტში).

42-ე სკოლის მოსწავლეებისა და ამავე სკოლადაამთავრებული პირველკურსელი სტუდენტების გამოკითხვისათვის საჭირო იყო კითხვარი. ჩვენი პირველადი ამოცანა იყო, შეგვეჩინა ისეთი კითხვარი, რომელიც უზრუნველყოფდა კვლევის სარწმუნო შედეგებს და წარმოადგენდა უკვე გამოცდილ ინსტრუმენტს.

ჩვენს მიერ შერჩეული იყო 1989 წელს პრინსტონის უნივერსიტეტის ბაზაზე პროფესორ ჯეორჯინე მატერნიაკის (Georgine Materniak) მიერ შემუშავებული (Study Skills Survey) ინსტრუმენტი.

კითხვარი ვთარგმნეთ მშობლიურ ენაზე, ექსპერტული შემოწმებისა და მათი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დავხვეწეთ და მოვახდინეთ შერჩეული ინსტრუმენტის ადაპტაცია, ისე რომ მაქსიმალურად შევინარჩუნეთ იგი.

კითხვარის საწყისი ვერსიის პილოტირება განხორციელდა მცირე მასშტაბებით. კითხვარი გავაცანით/შევაკვებინეთ I და II კურსელ 10 სტუდენტს. შედეგად დაფიქსირდა კითხვარის ერთადერთი პრობლემა, მისი დიდი მოცულობა, რაც ჩვენი ვარაუდით შევსების მაჩვენებელზე იქონიებდა ზეგავლენას.

კითხვარი შედგებოდა 60 კითხვისგან, რომლებიც, თავისმხრივ, ხუთ თემატურ თანაბრად გადანაწილებულ ჯგუფად იყო დაყოფილი:

- ✓ სასწავლო მასალის კითხვა;
- ✓ ლექცია და ჩანიშვნა;
- ✓ დამახსოვრების სტრატეგია;
- ✓ სწავლისადმი დამოკიდებულება და პროცესის მართვა;
- ✓ ტესტირებისთვის მომზადება და სტრატეგია.

კითხვების შეფასება მოხდა 4 ბალიანი სკალის მეშვეობით.

სტუდენტების გამოკითხვა მოხდა ინტერნეტის მეშვეობით, 42-ე სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის საფუძველზე, სულ გამოიკითხა 31 სტუდენტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტების გულახდილობამ განსაკუთრებულად გაამარტივა საქმე. აღსანიშნავია ასევე, მათი სრული მზადყოფნა და მხარდაჭერა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე.

მოსწავლეების გამოკითხვაში განსაკუთრებული დახმარება თავად სკოლამ გაგვიწია.

კითხვარის შევსების პროცესი მიმდინარეობდა როგორც ონლაინ, ისე პირდაპირ რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ სკოლის მოსწავლეების მხრიდან საკმაოდ ზერეულე დამოკიდებულება იგრძნობოდა კვლევის მიმართ. როგორც აღმოჩნდა, ბავშვებს ეს ყველაფერი ჯერ კიდევ პრობლემად არ ეჩვენებოდათ, ვინაიდან არ ჰქონდათ ამ საკითხთან არანაირი შეხება, ხოლო სტუდენტებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება, შესაბამისად ენთუზიაზმიც მეტი გააჩნდათ.

საერთო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 112-ი მოსწავლიდან 27-მა.

გამოკითხვის დაწყებამდე გვექონდა ჰიპოთეზა, რომ მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის დაფიქსირდებოდა მნიშვნელოვანი განსხვავება სასწავლო უნარების თვითშეფასების მაჩვენებლებში. თუმცა, რაოდენობრივი კვლევით მიღებული შედეგები, მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის იდენტური აღმოჩნდა. მეტიც, კითხვარის ხუთივე პუნქტში შედეგები ერთნაირია (სურათი 1). გამოკითხვამ აჩვენა, რომ 42-ე სკოლის მოსწავლეები/სტუდენტები ხუთივე პუნქტის მიხედვით ერთსა და იმავე პოზიციაზე იმყოფებიან და მაქსიმალურ ქულასთან მიმართებაში ნახევარზე ნაკლების მოგროვებას ახერხებენ.

სურათზე 1 ასახულია 42- ე სკოლის მოსწაღეთა და კურსდამთავრებულთა სასწავლო უნარების თვითშეფასების შედეგები (მაქსიმალური ქულა თითოეულ პუნქტში - 48 ქულა).

	მოსწავლე	სტუდენტი
სასწავლო მასალის კითხვა	22	21
ლექციის ჩანიშვნა	23	22
დამახსოვრების სტრატეგია	23	24
სწავლისადმი დამოკიდებულება და მართვის პროცესი	22	20
ტესტებისთვის მომზადების სტრატეგია	23	21

სურათი 1

შესაბამისად, დიაგნოსტიკური ანალიზის დროს გამოვლინდა საკვლევი საკითხის აქტუალობა და აღმოჩნდა რომ, კვლევაში დასახელებული უნარები: სასწავლო მასალის კითხვა, ლექციის ჩანიშვნა, დამახსოვრების სტრატეგიები, სწავლის მართვის პროცესი და ტესტირებისთვის მომზადების სტრატეგია საჭიროებს განვითარებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის საწყის ეტაპზე მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ „სკოლა მაქსიმალურად ეხმარება თავის აღსაზრდელებს ზემოთ აღნიშნული უნარების განვითარებაში“. თუმცა მასწავლებლები, ასევე, იმასაც აღიარებდნენ, რომ სკოლაში არ არსებობს სისტემა რომლის საფუძველზეც ზუსტად იტყოდნენ, აქვთ თუ არა მოსწავლეებს კონკრეტული სასწავლო უნარების დეფიციტი.

ინტერვენციების განხორციელებისა და შეფასების ფაზის შედეგები

შედეგებზე რეაგირების მიზნით კვლევის ფარგლებში დაიგემა ერთი კომპლექსური ინტერვენცია - სკოლის კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში სწავლისათვის მზაობის გაზრდისკენ მიმართული განვითარების სრული ციკლის ჩამოყალიბება სკოლაში, რომელიც მოიცავდა

(1) მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა სასწავლო უნარების, ისევე როგორც უნივერსიტეტში სწავლისათვის მზაობის შემაფერხებელი ფაქტორების კომპლექსურ კვლევას მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებში;

(2) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების ერთობლივ დაგეგმვას, სისტემურ განხორციელებასა და შეფასებას.

ამ ციკლის ასამოქმედებლად კონკრეტული პრაქტიკული კვლევის ფარგლებში დიგემა შემდეგი ამოცანები:

1. მონიტორინგისა და თვითშეფასების სისტემის „ბრიჯ“(Bridge) ამოქმედება

ა) მოსწაღეთა და კურსდამთავრებულთა ბაზის განახლებადი ელექტროული სისტემის შექმნა, რომლის მეშვეობით მოხდება პრობლემებისა და დამატებითი ინფორმაციის უწყვეტი მონიტორინგი.

ბ) სასწავლო უნარების შეფასების ინსტრუმენტის შექმნა და პილოტირება

2. კვლევით დადგენილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ა) არსებულ პრობლემების გარშემო სკოლის პედაგოგებისთვის ლიტერატურისა და სხვა სახის სასწავლო რესურსების მიწოდება.

ბ) სკოლის მასწავლებლებთან ერთად, სკოლის კურიკულუმში შესატანი ცვლილებების შეთავაზების მომზადება.

მოცემული პრაქტიკული კვლევის შეზღუდული ვადების გამო, პროექტის ფარგლებში ვერ ხერხდებოდა განვითარების სრული ციკლის განხორციელებაზე დაკვირვება, რადგან დროის მოცემულ პერიოდში შეუძლებელი იყო შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ინტერვენციების განხორციელებაზე დაკვირვება და შედეგების შეფასება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული კვლევის ფარგლებში მოხერხდა ციკლის შემადგენელი ძირითადი ელემენტების ამოქმედება.

მონიტორინგისა და თვითშეფასების სისტემის ამოქმედება

ჩვენი აზრით, სწავლისათვის საჭირო უნარები (Study Skills) ერთ-ერთი იმ მრავალ ასპექტაგანია, რომელზეც უნდა გაამახვილოს სკოლამ ყურადღება. შესაბამისად, ჩვენი ინტერვენციის ძირითადი მიმართულება იყო სკოლის მიერ მუდმივი/სისტემატიური თვითშეფასების გზის ძიება.

ნებისმიერი შეფასებისათვის და, მათ შორის, თვითშეფასებისათვის პირველხარისხოვანია ინფორმაციის ფლობა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია შემდგომში მოხდეს რეაგირება. თუ სკოლას არ ექნება მონაცემთა უწყვეტი განახლებისა და დაგროვების ინსტრუმენტი, მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება პირველრიგში არგუმენტმოკლებულია. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ბევრად უფრო ეფექტურია, როდესაც მას საჭირო ინფორმაციის უწყვეტი და ციკლური მოწოდების პრინციპზე დავაფუძნებთ.

მონიტორინგისა და თვითშეფასების სისტემის მოქმედების ძირითადი პრინციპების დემონსტრირებისათვის სკოლაში მოსწავლეთაგან და კურსდამთავრებულთაგან მონაცემთა შეგროვების, აკუმულირებისა და ანალიზის მარტივი ელექტრონული სისტემა შევქმენით, რომელსაც „ბრიჯ“ (“Bridge”) დავარქვით.

გამოვიყენეთ კომპანია *Google-ის* ერთ-ერთი უფასო სერვისი *Drive-ი* და მასში შევიყვანეთ სკოლის დირექციის მიერ მოწოდებული მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა სრული საინფორმაციო ბაზა, ასევე დავუმატეთ მოპოვებული ინფორმაცია, როგორცაა ელექტრონული მისამართები. ამავე სერვისის გამოყენებით დავამზადეთ ელექტრონული გამოკითხვის ფორმები და გავუგზავნეთ სტუდენტებს და მოსწავლეებს. *Drive-ის* უდიდესი პლიუსი ის არის, რომ ის თავად გვთავაზობს შედეგების დაანგარიშებისა და პრეზენტაციის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარა მონაცემთა ანალიზში.

ჩვენი მცდელობა გაგვერკვია, თუ რამდენად ეხმარება 42-ე სკოლა საკუთარ მოსწავლეებს სწავლისათვის საჭირო უნარების შეძენაში, შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენს მიერ შემუშავებული ინსტრუმენტ „ბრიჯ“-ის ერთგვარ პილოტირებად.

ამავე სერვისის მეშვეობით ძალიან მარტივია სხვა თემებთან დაკავშირებით მუდმივი კვლევის განხორციელება და სკოლის მხრიდან საკუთარ სასწავლო პროგრამაში სუსტი მხარეების მუდმივი მონიტორინგი. სისტემის ამოქმედების პირველივე მცდელობისას

მოხერხდა საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში ინფორმაციის მოპოვება, რომელიც უნდა გამხდარიყო სწავლების სტრატეგიებში შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვის საფუძველი.

მომავალში სისტემას რაოდენობრივი კვლევის კომპონენტის გარდა შეიძლება დაემატოს თვისებრივი მონაცემების აკუმულირებისა და ინტერპრეტაციის მოდულები.

კვლევით დადგენილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების გაანალიზების შემდგომ შევხვდით პედაგოგებს. შეხვედრის მიზანი იყო, გაგვეცნო მათთვის ვითარება და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები.

პირველ რიგში, წარვუდგინეთ ზემოთ აღნიშნული „ბრიჯ“ (Bridge) სისტემა და ავუხსენით მისი მუშაობის პრინციპი. ამავე სისტემის ფარგლებში შევთავაზეთ საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც ყოველი წლის ბოლოს შეაჯამებდა მონაცემებს და ყოველწლიურად, საჭიროებისამებრ, შეიტანდა ცვლილებებს სკოლის სასწავლო გეგმაში - დაგეგმავდა პრობლემების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებებს და თვალყურს ადევნებდა მათ ჩატარება/მიმდინარეობას.

შემდგომ გავაცანით მონაცემთა შეგროვების პირველი ციკლის შედეგები და ავუხსენით, თუ რა ტიპის რეკომენდაციებს ველოდებოდით მათგან. ამ საკითხთან დაკავშირებით დავგეგმეთ და განვახორციელეთ ტრენინგი.

მასწავლებელთა ტრენინგი

ჩატარებული ტრენინგი შეეხებოდა კურსდამთავრებულთა პრიორიტეტული უნარჩვევების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტული უნარებიდან განვითარებისთვის საჭირო და ეფექტური სასწავლო სტრატეგიების შერჩევას;

ტრენინგი ჩაატარა წიგნიერების ბილინგვური განათლებისა და ქართული ენის სწავლების ტრენერმა, გიორგი ჭაუჭიძემ. ტრენინგს დაესწრო 10 მასწავლებელი.

შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება

პროექტის დასკვნით ეტაპზე მოვაწყეთ შეხვედრა პედაგოგებთან, სადაც მათ მიეცათ შესაძლებლობა, გამოეთქვათ საკუთარი აზრი „ბრიჯ“ სისტემასთან დაკავშირებით და ჩამოეყალიბებინათ მოსაზრებები, თუ რა რეაგირებას მოახდენდნენ აღნიშნული კვლევის მიგნებების გათვალისწინებით.

სკოლა ამ სისტემის სრულად გამოყენებას მომავალი წლიდან აპირებს, თუმცა მასწავლებლებმა რეკომენდაციების ნაწილი უკვე ჩამოაყალიბეს. კერძოდ, ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ:

- მეტი ყურადღება მიექცეს თითოეული საგნის ფარგლებში სასწავლო უნარების განვითარებას;
- პედაგოგმა მოსწავლეს უნდა მისცეს მიმართულება, როგორ ისწავლოს;
- მასწავლებელმა სწავლებისას უნდა გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების უნარების განვითარებას;

- სკოლასა და უნივერსიტეტს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობითი კავშირი, რაც შეიძლება გულისხმობდეს კურსდამთავრებულთა ლექტორების მონაწილეობას კვლევაში, საჩვენებელ ლექციებს, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებაში მონაწილეობასა და სხვა ღონისძიებებს.

ფოკუს ჯგუფი სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვენციების შედეგების შესაფასებლად.

ინტერვენციების ეფექტის შესაფასებლად თვისობრივი მეთოდი გამოვიყენეთ, კვლევაში ჩართულ მხარეებს - სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ვთხოვეთ, გამოეხატათ შთაბეჭდილებები პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით და შეეფასებინათ კვლევის ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტის რელევანტურობა და მნიშვნელობა.

ვინაიდან, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ინტერვენციების ეფექტის სრული შეფასება, ინტერვენციებთან დაკავშირებით დავინტერესდით პროექტში ჩართული მხარეების მყისიერი რეაქციით და „ბრიჯ“ სისტემის ამოქმედების მოკლვადიანი შედეგებით.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ინტერვენციამ მონაწილეებში პირველადი დადებითი ეფექტი გამოიწვია. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ „ბრიჯის“ სისტემის ამოქმედებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს და ამ ინფორმაციაზე ედაყრდნობით შესაძლებელია სასწავლო გეგმებში, ისევე როგორც თითოეული მასწავლებლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიგეგმოს. რეკომენდაციების ნაწილი მათ თავად ამ შეხვედრაზე გამოთქვეს.

სკოლის საზოგადოების აზრით, „ბრიჯ“ სისტემის სახით სკოლაში მნიშვნელოვანი რესურსი შეიქმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისათვის მზაობის გაზრდას. გარდა ამისა, ამ სისტემის გამოყენება მრავალი სხვა კონკრეტული მიზნითაც არის შესაძლებელი, რომელიც საბოლოო ჯამში წვლილს შეიტანს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ი.ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა მზაობის გაზრდის ხელშეწყობა უნივერსიტეტში სწავლისათვის. უნივერსიტეტში სწავლისათვის მზაობა ამ ნაშრომში ოპერაციონალიზირებული იყო, როგორც ე.წ გამჭოლი სასწავლო უნარების არსებობა (კითხვის, დამასოვრების სტრატეგიების ცოდნა, დროის მართვა, გამოცდებისათვის მომზადება, ჩანაწერების წარმოება და ა.შ), რაც ხელს უწყობს მოსწავლესა და სტუდენტს სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვაში და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

მოკვლევის ფაზაზე დადგინდა, რომ სამიზნე სკოლის კურსდამთავრებულები გარკვეულ სირთულეებს განიცდიან უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლისას, რასაც მათი აზრით გარკვეული უნარების ნაკლებობა განაპირობებს. ამ უნართაგან ყველაზე მწვავედ დგას დროის და, ზოგადად, სწავლის პროცესის მართვის პრობლემა.

გარდა ამისა, როგორც სკოლის მოსწავლეები, ისე კურსდამთავრებულების თვითშეფასება აჩვენებს, რომ მათ აქვთ პრობლემები დამახსოვრების, ჩანაწერების წარმოების, კითხვის უნარებთან დაკავშირებითაც.

პრობლემაზე რეაგირების მიზნით კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ერთი კომპლექსური ინტერვენცია, რომელიც სკოლაში ამ პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული ელექტრონული საინფორმაციო სისტემის „ბრიჯ“(Bridge სისტემა) დაპროექტება და ამოქმედება იყო. სისტემა თავის თავში მოიცავს:

(1) მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა სასწავლო უნარების, ისევე როგორც უნივერსიტეტში სწავლისათვის მზაობის შემაფერხებელი ფაქტორების კომპლექსურ კვლევას მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებში გამოკითხვის ელ. სისტემის გამოყენებით;

(2) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების ერთობლივ დაგეგმვას, სისტემურ განხორციელებასა და შეფასებას.

სისტემის ამოსავალი იდეა უნივერსიტეტისა და სკოლის დაახლოებაა, სასწავლო უნარების განვითარების სტრატეგიების გაუმჯობესებისათვის და უნივერსიტეტში სწავლისათვის მოსწავლეთა მზაობის გასაზრდელად.


ინტერვენციის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მისი გრძელვადიანი ეფექტის შეფასება, თუმცა სისტემის ამოქმედების პირველ ციკლზე სკოლის საზოგადოების მყისიერი რეაქცია დადებითი იყო. სკოლის საზოგადოება თვლის, რომ სისტემამ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა შექმნა და გაზარდა მოტივაცია მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების მდგრადობისათვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ყურადღება მიაქციოს შემდგომ რეკომენდაციებს:

- სისტემის მუშაობა ციკლურობის, უწყვეტობის პრინციპს ეფუძნება, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ გამოიჩინოს თანმიმდევრულობა და სისტემატიურად, მდგრადი პერიოდულობით უზრუნველყოს:
 - ა) დიაგნოსტიკური კვლევების და გამოკითხვების ჩატარება;
 - ბ) შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი სტრატეგიის კორექტირება;
 - გ) განხორციელებული ცვლილებების ეფექტის შეფასება.
- სისტემის მუშაობისათვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი ცვლილებები შესაბამისი რესურსებით და უზრუნველყოფს გაუმჯობესების დასახული გეგმების მონიტორინგი.
- პრაქტიკული კვლევის ფარგლებში შექმნილი სისტემა წარმოადგენს უფრო რთული სისტემის მარტივ ანალოგს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლამ მუდმივად უნდა იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე, ახალი მოდულებით გამდიდრებაზე, სისტემის ინტერფეისის გაუმჯობესებაზე, ელ. სისტემის მუშაობის თანმხლები პროცესების (დაგეგმვა, მონიტორინგი) გამართვაზე.
- „ბრიჯ“(Bridge) სისტემა სკოლისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფორმაა. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მუდმივად

იზრუნოს მოსწავლეთა მზაობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ახალი გზების ძიებაზე. თანამშრომლობის სხვა მეთოდებს შეიძლება წარმოადგენდეს უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სკოლის კურსდამთავრებულ სტუდენტთა ჩართვა სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესებში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოწვევა ღია ლექციების ჩასატარებლად, მოსწავლეთა ვიზიტების ორგანიზება უნივერსიტეტებში, კურსდამთავრებულთა კლუბის ჩამოყალიბება და სხვა მსგავსი აქტივობები.

სურათზე 2, მოცემულია შემუშავებული ინსტრუმენტის კონცეფცია



სურათი 2

გამოყენებული ლიტერატურა

1. Armstrong, W., J. B A., (2002). The role of skills and study behaviors in students of color who traditionally have low admissions rates to University of California: University of Maryland University College, Europe, 2000 M.P.A., Bowie State University, Europe.
2. Bandura, A. ,(1986). Social foundations of thought and action: A social cognitive theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
3. Boller, B. (2008). Teaching organizational skills in middle school: Education Digest.
4. Butler, G. and Hope, T.,(1995). The mental fitness guide: Manage your mind. Oxford: Oxford University Press .
5. Bliss, L. B., & Mueller, R. J.,(1987). Assessing study behaviors: Findings from a new instrument: Journal of Developmental Education.

6. Butler, D., & Winne, P. , (1995).Feedback and SRL: A theoretical synthesis. Review of Educational Research.
7. Burkhalter, B., (2000). York College Learning Skills Association Pathways to Success: Bridging the Gap Between High School and College Composition: New York College Learning Skills Association.
8. Carmen M. Latterell and T., F., (2007). Association Causes and Possible Solutions to the Mathematics College Readiness Problem.
9. Christin T., Dr. Summer m.,(2010). Integrating Effective Study Skills Instruction Promoting Academic Achievement in the Middle School Classroom.
10. Cornoldi, C. , (1995). Metacognizione e apprendimento [Metacognition and learning]: Bologna, Ital.
11. Elliott, E. M., Barrilleaux, K. M., & Cowan, N. ,(2006). Individual differences in the ability to avoid distracting sounds: European Journal of Cognitive Psychology.
12. Gersten, R.,(1998). Recent advances in instructional research for students with learning disabilities: An overview. Learning Disabilities Research & Practice.
13. Gorrell, J., & Capron. E. , (1990). Cognitive modeling and self-efficacy: Effects on preservice teachers' learning of teaching strategies. Journal of Teacher Education, 41(2), 15-22.
14. Henley, M., Ramsey, R. S., & Algozzine, R. F., (1996). Characteristics and strategies for teaching students with mild disabilities (2nd ed.). Boston: Allyn & Bacon.
15. Heron, J ., and Reason, P.(1981) "The Practice of Co-operative Inquiry: Research 'with' rather than 'on' People" (pp. 178-188).
16. Hoover, J. J., & Patton, P. R. , (1995). Teaching students with learning problems to use study skills: A teacher's guide. Austin, TX: Pro-Ed.
17. Knapp, R. C., (1972). Independent study as an objective of instruction. High School Journal.
18. Ley, K., & Young, D. B. , (1998). Self-regulation behaviors in underprepared (developmental) and regular admission college students. Contemporary Educational Psychology.
19. Meneghetti, C., De Beni, R., & Cornoldi, C. , (2007). Strategic knowledge and consistency in students with good and poor study skills. European Journal of Cognitive Psychology, 19(4/5), 628-649, Psychology Press.
20. Rita O' Donoghue, MPhil, M.A. (Ed), (2005-2006).STUDY SKILLS: MANAGING YOUR LEARNING A Guide for Students in Higher Education, Access Office, NUI Galway ,National University of Ireland, Galway.
21. Simmons, M., (2006). Effective study skills for post-secondary education. College Quarterly.
22. Sue W. Chapman M., R., Time management, UGA extantion.
23. Strichart, S. S., Mangrum, C. T., & Iannuzzi, P.,(1998). Teaching study skills to students, with learning disabilities, attention deficit disorders, or special needs (2nd ed.). Boston: Allyn Bacon.
24. Waldron, N.L., & McLeskey, J., Preventing academic failure. In K.M.Minke &
25. G.C. Bear (Eds.), (2000). Preventing school problems-promoting school success: Strategies and programs that work . Bethesda, MD: National Association of School Psychologists.
26. Zimmerman, B. J. ,(1989). A social cognitive view of self-regulated academic learning. Journal of Educational Psychology.
27. Zimmerman, B.J., & Martinez-Pons, M. ,(1986). Development of a structured interview
28. for assessing student use of self-regulated learning strategies. American Educational Research Journal.

29. ანდლულაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., (2014). უმაღლესი განათლების სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა: თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
30. გოგიჩაიშვილი, ნ., გაგუა, თ., ხუნაშვილი, მ., (2014). დროის ეფექტურად მართვის ხელშეწყობა თბილისის 131-ე საჯარო სკოლის მე-5¹ კლასში: თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მადლობა

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს;

მადლობას ვუხდით წიგნიერების ბილინგვური განათლებისა და ქართული ენის სწავლების ტრენერს, ბატონ გიორგი ჭაუჭაძეს - რომელმაც კვლევის ფარგლებში 42 საჯარო სკოლის პედაგოგებს ჩაუტარა ტრენინგი.

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.

Article received 2017-03-14